

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N65

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

5 მაისი 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთი მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას სახით და მეორეს მხრივ, სპს „მ. ცაგარელის სამეანო-გინეკოლოგიური კაბინეტი“, შემდეგში „მიმწოდებელი“, მისი დირექტორის მედია ცაგარელის სახით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის, კერძოდ: გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოვლენისა და პროფილაქტიკის პროგრამა.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

2.3. სატენდერო განცხადების ნომერი - SPA170005839, 25.04.2017წ.

კლასიფიკატორის დანაყოფი - 85100000 - ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები.

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 85111300 - გინეკოლოგიური საავადმყოფოების მომსახურებები.

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **8'999.00** (რვაათასცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს დღგ-ს გარეშე.

1.2 სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

2. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 მიწოდების ადგილია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი.

5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

5.1. წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.
- 6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმებული და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (გაწეული მომსახურების შესახებ).
- 6.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახური.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია

8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან ერთი - მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

სპს „მ.ცაგარელის სამეანო-გინეკოლოგიური კაბინეტი“

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №12

მის: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №49

სს „ლიბერთი ბანკი“

ბ/კ LBRTGE22

ა/ა GE 65LB0117125412464000

ს/კ №215083040

ს/კ № 215138143


ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ირაკლი კაკულია


დირექტორი
მედეია ცაგარელი

გინეკოლოგიურ დაავადებათა
გამოვლენისა და პროფილაქტიკის პროგრამა

ფასების ცხრილი

#	კოდი	სადიაგნოსტიკო ღონისძიებები	მომსახურების ფასი ერთ პაციენტზე (ლარი)	მომსახურების ფასი 300 პაციენტზე (ლარი)
1	A8044	გინეკოლოგის ამბულატორიული კონსულტაცია	13	3900
2	A622	ნაცხის აღება	1	300
3	A593	ნაცხი ფლორაზე	2,9967	899
4	A627	ექოსკოპია	13	3900
სულ ღირებულება			29,9967	8999

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

სპს „მ.ცაგარელის სამეანო-
გინეკოლოგიური კაბინეტი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კაკულაძე

დირექტორი
მედეია ცაგარელი

